საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2015 წლის 9 სექტემბერი
დადგენილება N1650

სს „თამ“ თბილავიამშენის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ავიამშენებლობისა და საავიაციო საქმის კოლეჯის ერთობლივად დაფუძნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მიღებული იქნეს სტუ-ს რექტორის - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის არჩილ ფრანგიშვილის წინადადება - სს „თამ“ თბილავიამშენის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - თბილისის ავიამშენებლობისა და საავიაციო საქმის კოლეჯის ერთობლივად დაფუძნების შესახებ.
2. მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ამ დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნებასთან დაკავშირებით და მიეცეს რექტორს უფლებამოსილება ხელი მოაწეროს ა(ა)იპ-ის სადამფუძნებლო დოკუმენტაციას;
3. მოწონებული იქნეს „ა(ა)იპ“)-ის დაფუძნებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დამფუძნებელთა ხელშეკრულების, „ა(ა)იპ“)-ის წესდებისა და დამფუძნებელთა კრების ოქმის პროექტები.
4. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე არჩილ ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გიორგი სალუქვაძე